თერჯოლის
მუნიციპალიტეტის მერია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026-2037 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

სამუშაო ჯგუფი

სამუშაო ჯგუფი შეიქმნა მუნიციპალიტეტის მერის 24 თებერვლის №28. 282605512 ბრძანებით;
სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ჯგუფი დაკომპლექტებულია:
მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირებით;
მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებით;
ტექნიკური ჯგუფის წევრებით;

ჩატარებულია 3 შეხვედრა, სამუშაო ჯგუფის წევრებთან და დაინტერესებულ მხარეებთან

მუნიციპალიტეტის მოკლე პროფილი

- თერჯოლის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 110-400 მეტრზე. თერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულს დასავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი. სამხრეთ-აღმოსავლეთით ზესტაფონის, ჩრდილოეთით-ტყიბულის, ჩრდილო-დასავლეთით ჭიათურის, სამხრეთით კი ბაღდათის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 35 750 ჰა-ია.

- მუნიციალიტეტი შედგება ქ. თერჯოლისა და 18 ადმინისტრაციული ერთეულისგან. ესენია: თუზი, ზედა საზანო, ალისუბანი, რუფოთი, ძევრი, ჩხარი, გოგნი, ღვანკითი, ახალთერჯოლა, ზედა სიმონეთი, ქვ. სიმონეთი, სიქთარვა, ეწერი, ბარდუბანი, ნახშირღელე, გოდოგანი, კვახჭირი და ჭოგნარი. ადმინისტრაციული/სათემო მოწყობის მიხედვით აღნიშნულ მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, 18 ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც გაერთიანებულია 45 სოფელი.

- უახლოესი რკინიგზის სადგურია ქ. ზესტაფონში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-სენაკი-ლესელი*ძის დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალი, გადის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: თერჯოლა-ტყიბული, თერჯოლა-ჭიათურა და ქუთაისი-ვარციხე.

მუნიციპალიტეტის სიტუაციური ანალიზი და გამოწვევები

- მუნიციპალიტეტის მასშტაბით თერჯოლაში სულ არის 1180 კმ ადგილობრივი დანიშნულების გზა, აქედან 2025 წლის მდგომარეობით რეაბილიტირებულია 300 კმ-დე გზა, დარჩენილი გზების რაოდენობაა 880 კმ, რომელიც დაფარულია ქვიშა-ხრეშოვანი საფარით და საჭიროებს რეაბილიტაციას ა/ბეტონის და ბეტონის საფარით. აღშნული გზები შეკეთებას საჭიროებს ნალექის მოსვლის შემდეგ, რადგან ირეცეხება გზის საფარი და გაძნელებულია მასზე გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებს საჭიროებს.
- საბავშვო ბაღების შენობები საჭიროებს რეაბილიტაციას, ვინაიდან საბავშვო ბაღების აკრედიტაცია მათი მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, ასევე შესაძლო საფრთხის შემცველია მომუშავე პერსოლისა და აღსაზრდელებისათვის.
- საჯარო სკოლის შენობები საჭიროებს მშენებლობას და რეაბილიტაციას, ვინაიდან საჯარო სკოლების აკრედიტაცია მათი მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, ასევე შესაძლო საფრთხის შემცველია მომუშავე პერსოლისა და აღსაზრდელებისათვის.
- მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასმელი და ტექნიკური წყლის გარეშე დარჩენილია მოსახლეობის დაახლოებით 40%, საჭიროა აღნიშნულ დასახლებებში სასმელი წყლის მიმწოდებელი ქსელების მოწყობა.
- ქ. თერჯოლაში ნაწილობრივ მოწყობილია წყალარინების სისტემა ქალაქის ცენტრალურ უბანში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სრულად დაერთებას საკანალიზაციო სისტემაზე, ასევე არ აქვს გამწმენდი ნაგეობა და ფეკალური მასები სრულად ჩაედინება მდინარეში, რაც იწვევს ეკოლოგიურ დაბინძურებას და ანტისანიტარიას.
- საჭიროა სოფლებში არსებული სამელიორაციო სისტემის აღდგენა და მშენებლობა, ახალი ფართობების ათვისების მიზნით. რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის სოფლის მეურნეობის კუთხით მოსავლიანობის გაზრდას, რაც დადებითად ასისახება მოსახლეობის სოპციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

სიტუაციური ანალიზი

- მოსახლეობის დინამიკა: ბოლო წლების მონაცემებით მუნიციალიტეტის მასშტაბით შეიმჩნევა მოსახლეობის კლება, 2014 წლის მონაცემებთან შედარებით დღეის მდგომარეობით მოსახლეობა მოკლებულია 11%-ით. (35563-დან მაცხოვრებლიდან 31400-მდე)

- მუნიციპალიტეტში მძიმე მრეწველობის კუთხით ფუნქციონირებს ფეროშენადნობთა წარმოება სოფ. ნახშირღელეში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“, სადაც დასაქმებულია 400-მდე ადგილობრივი მცხოვრები, ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მცირე საოჯახო 22 მარანი, რომლებიც ეწევიან ადგილობრივი ღვინის პოპულარიზაციას, ფუნქციონირებს შპს „ხარება“, რომელსაც სეზონურად და სისტემატიურად დასაქმებული ყავს 150-მდე ადგილობრივი მოსახლე და აწარმოებს ადგილობრივი ყურძნის ჯიშებიდან საექსპორტო ბაზრებისათვის სხვადასახვა სახეობის ღვინოს. ქ. თერჯოლაში ფუნქციონირებს ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო შპს „ედენა“, სადაც დასაქმებულია 30 ადგილობრივი მოსახლე. იზრდება საოჯახო სასტუმროების რიცხვი, ამჟამად თერჯოლის მუნიციპალიტეტში არის 20 ერთეული საოჯახო სასტუმრო.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2037 წლისთვის

ეკონომიკა

01

2037-ის მიზანი: მუნიცპალიტეტის მიზანია ადგილობრივი შემოსულობების 50 %-იანი ზრდა

- **მთავარი შედეგი:** შემოსულობების გაზრდა საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის.
- **ინდიკატორი:** ახალი რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტები, განვითარებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურა.

02

ჯამური ბიუჯეტი (2026-2037): 75,87 მლნ. მათ შორის ადგილობრივის რესურსი 0,43 მლნ. საჭირო დამატებითი ინვესტიცია: 75,44 მლნ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2037 წლისთვის

2037-ის მიზანი: მუნიცპალიტეტის მიზანია ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის 90%-იანი მაჩვენებელი, ყველა საბაშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ყველა საჯარო სკოლის მშნებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების კუთხით მოსახლეობის 100%-იანი მომარაგება.

- ინდიკატორი: დაგებული გზების რაოდენობა, აშენებული და რეაბილიტირებული სკოლების და ბაღების რაოდენობა, წყალმომარაგების აბონენტების რაოდენობა.

აქტივობების ჩამონათვალი, ჯამური ბიუჯეტი (2026-2037): 150,393 მლნ. მათ შორის ადგილობრივის რესურსი 2,969 მლნ. საჭირო დამატებითი ინვესტიცია: 147,423 მლნ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2037 წლისთვის

ჯანდაცვა და სოციალური

2037-ის მიზანი: მუნიციპალიტეტის მიზანია მაქსიმალურად მოსახლეობაზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ყველა ამბულატორიის შენობის თანამედროვე სტანდარტებით მშენებლობა-რეაბილიტაცია და აღჭურვა.

- ინდიკატორი: მოსახლეობის კმაყოფილების დონე, აშენებული და რეაბილიტირებული ამბულატორების რაოდენობა.

აქტივობების ჩამონათვალი, ჯამური ბიუჯეტი (2026-2037): 34,5 მლნ. მათ შორის ადგილობრივის რესურსი 25,0 მლნ. საჭირო დამატებითი ინვესტიცია: 9,5 მლნ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2037 წლისთვის

განათლება, კულტურა და სპორტი

2037-ის მიზანი: მუნიცპალიტეტის მიზანია ყველა საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის შენობების თანამედროვე სტანდარტებით მშენებლობა-რეაბილიტაცია და აღჭურვა.

- **ინდიკატორი**: აშენებული და რეაბილიტირებული სკოლების და ბაღების რაოდენობა, სწავლის დონის და ხარისხის ამაღლება

აქტივობების ჩამონათვალი, ჯამური ბიუჯეტი (2026-2037): 109,85 მლნ. მათ შორის ადგილობრივის რესურსი 0 მლნ. საჭირო დამატებითი ინვესტიცია: 109,85 მლნ.

სტრატეგიული პრიორიტეტები 2037 წლისთვის

- აქტივობების ჩამონათვალი, ჯამური ბიუჯეტი (2026-2037): 370,613 მლნ. მათ შორის ადგილობრივის რესურსი: 28,393 მლნ. საჭირო დამატებითი ინვესტიცია: 342,213 მლნ.

საბაზისო ინფრასტრუქტურის შესახებ ზოგადი მონაცემები

- თერჯოლის მუნიციპალიტეტში სულ არის 1180 კმ ადგილობრივი დანიშნულების გზა, აქედან 880 კმ დაზიანებული ქვიშა-ხრეშოვანი საფარით, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას ა/ბეტონის და ბეტონის საფარით.
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქ. თერჯოლასა და რუფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ემსახურება 3000 აბონენტს, ხოლო ააიპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ ემსახურება 4850 აბონენტს, დღეის მდგომარეობით მოსახლეობის დაახლოებით 40% ცენტრალური წყლის მიმწოდებელი სისტემის გარეშე არის დარჩენილი, ამჟამად მუნიციპლიტეტის მიერ მიმდინარეობს ერთი სოფლის ნაწილობრივ ცენტრალური წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები, რაც შეეხება დარჩენილ მოსახლეობის ნაწილს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარეობს პროექტირების სამუშაოები (ეწერი, ახალი უბანი, ზედა საზანო, სკანდე, მუჯირეთი, ჩიხორი, დელტასუბანი, შიმშილაქედი).
- ქ. თერჯოლაში მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში ფუნქციონირებს კანალიზაციის ქსელი, რომელსაც არ აქვს გამწმენდი ნაგებობა და მდინარეში ჩაედინება ფეკალური მასები, საჭიროა ახალი ქსელის მოწყობა, რომელსაც ექნება ახალი აბონენტების დაერთების საშუალებაც.
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, აქედან ასაშენებელია 6 საბავშვო ბაღი, ხოლო 12 საბავშვო ბაღს ესაჭიროება სრული რეაბილიტაცია.
- სულ მუნიციპალიტეტში არის 24 საჯარო სკოლაა, აქედან 5 ასაშენებელია, ხოლო 11 საჯარო სკოლას ესაჭიროება სრული რეაბილიტაციას.
- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 მინი მოედანი, მაგრამ სოფლის ცენტრებში და დასახლებებში მოსახლეობის მოთხოვნით საჭიროა მინი სპორტული მოედნების მშენებლობა 6 ლოკაციაზე.
- ქ. თერჯოლაში საჭიროა კულტურის ცენტრის მშენებლობა, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული 3 სახლმუზეუმის მშენებლობა-რეაბილიტაცია (დავით დასერგო კლდიაშვილების სახლმუზეუმი, შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლმუზეუმის რეაბილიტაცია, გრიგოლ რობაქიძის სახლმუზეუმის მშენებლობა), ასევე ქ. თერჯოლაში და სოფლებში ფუნქციონირებს 6 ბიბლიოთეკა, რომლებიც განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობებში და საჭიროებს რეაბილიტაციას. ფუნქციონირებს ასევე 2 კულტურის სახლი ქ. თერჯოლასა და სოფ. ზედა სიმონეთში, რომლებიც სარეაბილიტაციოა.
- მუნიციპალიტეტში მოქმედებს 2 საავადმყოფო და 18 ამბულატორია, ამბულატორიები გადაცემულია ჰოლდინგზე, რომელიც ანხორციელებს მათი შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციას და აღჭურვას, დღეის მდგომარეობითმათ მიერ 3 ახალი ამბულატორია აშენდა.

სტრატეგიული პრიორიტეტები 2037 წლისთვის (ინფრასტრუქტურა)

- 2037-ის მიზანი:90 % საგზაო ინფრასტრუქტური მოწესრიგება.
- მთავარი შედეგი: სრულად გამართული იქნება ადგიობრივი დანიშნულების გზების 90% გზა.
- ინდიკატორი: 1000 კმ რეაბილიტირებული გზა

მიმართულება	**2025 წელი (დღეს)**	**2037 წელი (მიზანი)**
წყალმომარაგება	**60%**	**100%**
მოწესრიგებული გზა	**300 კმ**	**1062 კმ**
საბავშვო ბაღები	**9 აშენებული/რეაბილიტირებული**	**27 აშენებული/რეაბილიტირებული**
სკოლები	**8 შენობა აშენებული/ რეაბილიტირებული**	**24 სკოლა აშენებული/ რეაბილიტირებული**
ამბულატორიები	**8 აშენებული/რეაბილიტირებული**	**19 აშენებული/რეაბილიტირებული**

სტრატეგიული პრიორიტეტები 2037 წლისთვის

მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული რესურსების სრულად ათვისებას, მათ შორის ნავენახევის მღვიმეს, ძევრის საგვარჯილეს, გოგნის გადმოსახედის მოწყობას, სოფ. გოდოგანში თამარის ხიდის მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობას, სკანდის ციხის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობას და სხვა.

ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის განვითარების და დამხმარე პროგრამების მეშვეობით.

სამოქმედო გეგმა-მასშტაბური საპროექტო იდეები

- ქ. თერჯოლაში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია (18 საბავშვო ბაღი);
- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია (16 საჯარო სკოლა);
- ცენტრალური წყლის სისტემის გარეშე დარჩენილ დასახლებებში სასმელი წყლის მიმწოდებელი ქსელის მოწყობა 6 (ადმინისტრაციულ ერთეულში);
- ქ. თერჯოლაში კულტურის ცენტრის შენობის მშენებლობა;
- ქ. თერჯოლაში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა.

მადლობა
ყურადღებისთვის